პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 სექტემბერი ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 217 (14821)

XXIV — შენთვის, ჩემო დედასამშობლო!

ХИЛДО—САУКЕТЕСОВՆ

სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს ტყვარჩელელმა მეშახტეებმა. მათ ვადამდე, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის საწარმოო დავალება და ამასთან უზრუნველყვეს რესპუბლიკის საწარმოთა შორის რეკორდული ვაგონების ყველაზე რაციონალური გამოყენება. გასულ კვარტალში ტყვარჩელელებმა გეგმის გადაჭარბებით დატვირთეს და გაგზავნეს ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ხოლო თვითეული ვაგონის ბრუნვა ნორმასთან შედარებით 90 წუთით დაიჩქარეს.

ამ წარმატებებისათვის ტყვარჩელელებს მეორე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით კვლავ მიენიჭათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. (საქდესი).

ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ჩაის მექანიზებულად კრეფის რგოლს ხელმძღვანელობენ ლეილა თორდია და გული ალადანი. რგოლს წელს ჩაის საკრეფი მანქანით უნდა მოეკრიფა 48 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი აქვთ 48 ტონა ნედლეული.

ხურათზე: ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ მესაჭეები, მერგოლურები ლეილა თორდია და გული ალადანი.

ფოტო რ. ფიფიასი.

ახალი ნაწარმის ნიმუშები

თბილისის ტყავსაგალანტერეო ფაბრიკაში მომავალი სეზონისათვის უკვე შეიქმნა ტყავის ნაწარმის 59 სხვადასხვა ნიმუში, 39 მათგანმა კომისიის მაღალი შეფასება მიიღო. ისინი მსოფლიო სტანდარტის დონეს შეესაბამებიან.

ფაბრიკის ოსტატების ნახელავი — სხვადასხვა სახის ჩანთები, ჩემოდნები დღეს ყველგან მოწონებით სარგებლობს. ამ წარმატებას ფაბრიკის კოლექტივმა თავდადებული შრომით მიაღწია. აქ სისტემატურად ზრუნავენ ოსტატთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, იქმნებენ ახალ რეზერვებს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის. მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა კოლექტივმა 102,8 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 72 ათასი მანეთის ნაწარმი; გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 9 პროცენტით, შვიდ თვეში მიღებულია 25 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ჩემოდნებისა და № 1 საგალანტერეო საამქროები, რომლებსაც გ. გიორგობიანი და ო. ბაკურაძე ხელმძღვანელობენ.

რეზერვების ძიებაში

თბილისი. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სადისპეტჩერო აპარატის კოლექტივი განუხრელად ზრუნავს არსებული შიდა რეზერვების გამოვლინებისათვის, ცდილობს რაც შეიძლება ეფექტურად გამოიყენოს გამწევი ძალა — ლოკომოტივები, რომ დაჩქარდეს სახალხო-სამეურნეო ტვირთიდან რკინიგზის მაგისტრალებზე.

როცა სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ჩაება, აქაურმა კოლექტივმა გადაწყვიტა მძიმეწონიანი მატარებლების რიცხვის გადიდებით, არარაციონალური მოცდენების შემცირებით, უბნებზე მატარებლების გატარების დაჩქარებით ლოკომოტივების მწარმოებლობის დავალება 101,5 პროცენტით შეასრულოს; ყოველდღიურად გამოათავისუფლოს 1-2 ლოკომოტივი და 1971 წლის თებერვლამდე დაზოგოს 70 ათასი მანეთი.

რკინიგზელები ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად ასრულებენ. გადაყვანილი მძიმეწონიანი მატარებლების რიცხვმა ივლის-აგვისტოში შესამჩნევად იმატა.

მოქმედების სახელმძღვანელო

PRAVDA

16 სექტემბრის მოწინავე

ბოლო მორიგი XXIV ყრილობა, რომლისათვის მზადება სულ უფრო ფართოდ ჩადგება ჩვენს ქვეყანაში, ახალ ფურცელს გადაშლის ლენინური პარტიის ისტორიაში, კომუნიზმისათვის ბრძოლის მატიანეში. ყრილობამ უნდა შეაჯამოს შედეგები ხუთწლიანი საქმიანობისა საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრებისა და მისი საგარეო პოლიტიკის ყველა სფეროში, დასახოს დიდი მიზნისაკენ შემდგომი წინსვლის გზები.

ამ წინსვლის დროს წამოიჭრება სულ ახალი და ახალი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს არა მარტო დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, არამედ მარქსისტულ-ლენინური თეორიული აზრის ყოველი ღონისძიებით განვითარებასაც.

„ჩვენი თეორიული შეხედულებების დანიშნულება ის არის, რომ გვიხელმძღვანელოს ჩვენს რევოლუციურ საქმიანობაში“, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. თეორია მოწოდებულია გზა გაუკაფოს პრაქტიკას. თანამედროვე ეტაპზე, კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების გაფართოებასთან და მისი ამოცანების გართულებასთან, მსოფლიო რევოლუციური პროცესის მთელი ძალების ზრდასთან დაკავშირებით თეორიის როლი სულ უფრო დიდდება.

სკკპ XXIII ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენი პარტიის მთელი ისტორიული საქმიანობის ყველაზე ძლიერი, ყველაზე საგულისხმო ნაწილია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემოქმედებითი განვითარება და მისი ორგანული შეერთება მშრომელი მასების პრაქტიკასთან. ყრილობის შემდეგ განვლილ დროში ეს ნიშანი ახალი ძალით გამოვლინდა. განსორციელდა დიდი მუშაობა სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების მეცნიერული განზოგადებისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისათვის; ბევრი რამ გაკეთდა ანტიკომუნიზმის, შემარჯვენე და „შემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ერთიანი ინტერნაციონალური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის. პარტიის თეორიისა და პოლიტიკის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხები დამუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დოკუმენტებში. ღრმად არის გაშუქებული ეს საკითხები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებსა და სტატიებში, რომლებიც ახლახან ორ ტომად გამოვდა საერთო სათაურით „ლენინური კურსით“, თეორიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირის მასალებს.

თეორიული მუშაობის აქტივიზაციის მძლავრი სტიმული გახდა ლენინის დიდი იუბილე. იგი აღინიშნა საერთაშორისო და სრულიად საკავშირო მეცნიერული კონფერენციებით, სესიებითა და სიმპოზიუმებით, იმით, რომ გამოვიდა საბჭოთა მეცნიერების მრავალი ნაშრომი მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის დარგში. ამათგან საუკეთესონი სერიოზული წვლილია საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში.

ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენში თეორიული კადრები მნიშვნელოვნად შეივსო ნიჭიერი ახალგაზრდობით, გაფართოვდა ჰუმანიტარული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ქსელი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ უმაღლესი სკოლის მუშაკები. უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი, კიდევ უფრო ავამაღლოთ თეორიული მუშაობის დონე — ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელსაც სახავენ ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თეორიული აზრი, რომელიც თანამედროვეობის საარსებო პრობლემებს წყვეტს, ამასთანავე მუდამ მიზანმიმსწრაფი იყოს. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ მარქსიზმი საკითხს სვამს წარსულის არა მარტო განმარტების თვალსაზრისით, არამედ მომავლის უშიშრად განჭვრეტისა და მისი განხორციელებისათვის გაბედული პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისითაც. ეს მოითხოვს აქტიურ შემოქმედებითს საწყისს ყოველ მეცნიერულ კვლევაში, მეცნიერებაში ყოველივე ახლის, მოწინავის განვითარებას და მხარდაჭერას. სწორედ ასეთი მოთხოვნებია მკაფიოდ გამოხატული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

სამი წლის წინათ მიღებული ეს დადგენილება იყო და რჩება მოქმედების კონკრეტულ პროგრამად და სახელმძღვანელოდ საბჭოთა მეცნიერებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ხელმძღვანელობენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული პრინციპებით, მათ არა მარტო ღრმად უნდა გაიაზრონ დღევანდელი სინამდვილე, არამედ პარტიას დაეხმარონ მომავლის პერსპექტივების გარკვევაშიც. ეს ნიშნავს უფრო ღრმად ვუჩვენოთ და გავაშუქოთ მეცნიერულ შრომებში საზოგადოებრივი განვითარების წამყვანი ტენდენციები. ეს ნიშნავს ყოველმხრივ გამოვიკვლიოთ, მაგალითად, ისეთი პრობლემები, როგორიც არის მეურნეობის გაძლოლის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და კულტურა კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესის მიმართულება და ხასიათი, სოციალისტური დემოკრატიისა და სახელმწიფოებრიობის განვითარება, შრომელთა კომუნისტური აღზრდის შინაარსი და მეთოდები და ბევრი სხვა. ახალი ხუთწლედის მზადებასთან და პერსპექტიული გეგმის როლის ზრდასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სოციალური პროგნოზირების საკითხები.

თეორიული მუშაობის დონე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მის ორგანიზაციასა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დაცვაზე, მეცნიერთა კადრების იდეურ სიმწიფესა და კომუნისტურ პარტიულობაზე. საჭიროა, რომ მათ ღრმად ჭვრეტდეთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე, მუშაობდნენ შემოქმედებითად, პერსპექტივით. პარტიული ორგანიზაციები მუდამ მხარს უნდა უჭერდნენ მეცნიერ მუშაკთა კოლექტივებში ნამდვილად შემოქმედებითს ატმოსფეროს, ზრდიდნენ მათ კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, პრინციპულობისა და საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობის სულისკვეთებით. ასეთი მომთხოვნელობა, კერძოდ, გულისხმობს შრომის შედეგების სწორ შეფასებას, როცა ეს შეფასება ითვალისწინებს არა მარტო მომზადებულ ან გამოქვეყნებულ ნაშრომთა რაოდენობას, არამედ მათს მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებასაც. ნამდვილი პრინციპულობა თეორიულ მუშაობაში — ეს არის შეურიგებლობაც იდეური პოზიციების ყოველგვარი ბუნდოვანებისადმი, დეკლარაციულობისა და სქემატურობისადმი.

მთელ პარტიასთან, მთელ ხალხთან ერთად ჩვენი მეცნიერები ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას. ყრილობისათვის მზადების პერიოდში, 1970 წლის ნოემბერში, აღინიშნება მარქსის დიდი თანამებრძოლის ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავი. ყოველივე ეს ხელს უწყობს თეორიული აქტივობის ამაღლებას საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფრონტის რიგებში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიული აზრის შემდგომი განვითარება, მთელი თეორიული მუშაობის გაუმჯობესება კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანებისადმი მეცნიერული მიდგომის და მათი წარმატებით გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა.

დიმიტროველებმა სეთნლიანი შეასრულეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 10 სექტემბრისათვის შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთწლიანი გეგმა, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდა 4,8 პროცენტით, სამშობლოს მისცა 142 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მადანს მომავალი ხუთწლედის ანგარიშში იძლევიან საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც გ. ბერელაძე, ბ. დარბაინძე, ჭ. ქორჭოლაძე, შ. აბეანდაძე, გ. ცერცვაძე უძღვებიან. აგრეთვე მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ბ. ჩხიკვაძე ხელმძღვანელობს.

მაღაროს კოლექტივის წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს წარჩინებულმა მაღაროელებმა სოციალისტური შრომის გმირმა პ. გოგატიშვილმა, ლენინის ორდენოსანმა ტ. ჭიღლაძემ, ა. ყავლაშვილმა, მ. დეკანოიძემ, გ. დვალმა.

დიმიტროველები წლის ბოლომდე სამშობლოს ათეულ ათასობით ტონა ზეგეგმით მარგანეცს მისცემენ.

როსტოველ მეჯვნელ-მთესველთა შრომითი გამარჯვება

როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, მიმდინარე წელს მოიწიეს მარცვლეული კულტურების ჯარგი მოსავალი. ორგანიზებულად აიღეს მოსავალი და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვის დადგენილი გეგმა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ნაბარეს 3.143 ათასი ტონა მარცვლეული (სიმინდისა და ბრინჯის გარდა), მათ შორის სასურსათო მარცვლეული — 1.581 ათასი ტონა. ბუნოვლოვანი კულტურების მოსავლის შესყიდვის გეგმა ჯერჯერობით არ არის შესრულებული. სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვა გრძელდება.

სოფლის მშრომელებს მოსავლის აღებასა და პურეულის გადაზიდვაში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ოლქის სამრეწველო საწარმოთა და სატრანსპორტო ორგანიზაციათა კოლექტივებმა.

ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება იმ ნაკისრი ვალდებულებათა შესასრულებლად, რომ გაზარდონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა პროდუქტის წარმოება და დამზადება, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას.

როსტოვის ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის პარცელეულის მიყიდვის გეგმა

ოფიციალური ვიზიტით

ვოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით 15 სექტემბერს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სინგაპურის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლი კუან იუ. (საქდესი).

საუბარი დ. ს. პოლიანსკისთან

16 სექტემბერს კრემლში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი და სინგაპურის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლი კუან იუ, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-სინგაპურის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები, აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. (საკდესი).

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით

16 სექტემბერს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით მოსკოვიდან ბუდაპეშტში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კოლეკოვი, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფი ახლავს.

უკანასკნელ სიახლეთა

პრაგელ ქვეყნების პროტესტი

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი არაბული ქვეყნების ჯგუფის თავმჯდომარე ეორუ ტომე (სირია) ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს და მისი ყურადღება მიაპყრო ისრაელ ხელისუფალთა თვითნებობას, რომელიც გამოიხატა იმით, რომ უკანონოდ დააპატიმრეს და მძევლებად მყავთ არაბული ეროვნების 450 მოქალაქე. ტომემ განაცხადა, რომ ეს აქტი უხეშად არღვევს ეენევის კონვენციას ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო პირებისადმი მოპყრობის შესახებ და ეწინააღმდეგება ჰუმანური რეზოლუციების ფორმასა და შინაარსს, რომლებიც მიიღეს უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ, აგრეთვე ზოგადსაკაცობრიო ნორმებს.

სხდომა ბერლინში

ბერლინი, 16 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა. სხდომა განიხილავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა განათლების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ძირითად მიმართულებათა საკითხს სოციალიზმის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობის დროს; კანონს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამოქალაქო თავდაცვის შესახებ და სხვა პრობლემებს.

გრიგალის შედეგები

რომი, 16 სექტემბერი. (საკდესი). უჩვეულო ძალის გრიგალმა, რომელიც ამას წინათ თავს დაატყდა იტალიის ჩრდილოეთ რაიონებს და გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი — 80-ზე მეტი კაცი დაიღუპა და 200-ზე მეტი დაშავდა, — გამოიწვია აგრეთვე დიდი მატერიალური ზარალი. პირველი ოფიციალური მონაცემების თანახმად, რომლებიც დღეს იბეჭდება ადგილობრივ პრესაში, ზარალი 5 მილიარდ ლირას უდრის.

ენგურჰესის დამკვრელურ მშენებლობაზე

გვირაბმშენებელთა ერთი დღე

● ხუთწლედი შესრულებულია ● პირველია მეექვსე უბანი
● ბრძოლა სტიქიასთან ● გ. წულეისკირი: ჩვენ გმირი ახალგაზრდები გვყავს

გვირაბმშენის სამმართველოს უფროსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გიორგი წულეისკირს აშვიათად შეხვდებით კაბინეტში. ეს არც არის გასაკვირველი. სამმართველოს მრავალი უბანი აქვს. ყველა ამ უბანზე ახლა შრომის ცხარე დღეებია. გ. წულეისკირი დილაადრიან იწყებს ამ მრავალრიცხოვანი ობიექტების შემოვლას, უბნიდან უბანში, სანგრევიდან სანგრევში ისე დადის ეს საოცარი ენერგიის ადამიანი, რომ ვერ დაიჯერებთ, თუ მის მხრებს საშოკ წელზე მეტი ხნის ტვირთი აწევს.

ენგურჰესზე ყველასათვის მისაბაძი მაგალითია გ. წულეისკირის დღევანდელი საქმიანობა. ამასთან მას შესაშური წარსული შრომითი ბიოგრაფია აქვს, უშენებია ხრამჰესი, სამგორჰესი, სიონჰესი, ლაჯანურჰესი. 1964 წლიდან კი იგი ენგურზეა, სათაოში უდგას გვირაბშენის სამმართველოს სახელოვან კოლექტივს.

გიორგი წულეისკირს სწორედ მაშინ შევხვდით, როცა სამმართველოს კოლექტივი მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის პირველ ადგილზე გამოვიდა ენგურჰესის კოლექტივებს შორის და გარდამავალი დროშა გადაეცა. სამმართველოს ახლანდელ მიღწევებზე საუბრისას აღმოჩნდა, რომ გვირაბმშენებლებმა დროშის მიღებასთან ერთად მეორე დიდი გამარჯვება ზეიმიმეს. ვადაზე დიდი ხნით ადრე გაანაღდეს წლიური დავალება და ხუთწლიანი გეგმა.

— წელს ჩვენმა კოლექტივმა მართლაც სასახელოდ იშრომა, — ამბობს გ. წულეისკირი, — ყველა უბნის, ცვლის, ბრიგადის, თვითეული შრომელის თავდადებამ საშუალება მოგვცა შეგვასრულებინა როგორც დავალებანი, ისე ნაკისრი ვალდებულებანი. 27 აგვისტოს ჩვენ უკვე მივადწიეთ წლიური გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს. შეგასრულეთ 3 მილიონ 300 ათასი მანეთის სამუშაოები. ეს წლიური გეგმის 102 პროცენტს შეადგენს; ამრიგად, ჩვენი კოლექტივი უკვე მომავალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობს.

დროს ბევრი უბანმა გაუსწრო. მაგრამ პირველობას არავის უთმობს კომუნისტური შრომის მეექვსე უბანი, რომელსაც ლევან ჩიჩუეშვილი ხელმძღვანელობს. მთლიანად შესრულებული სამუშაოების ერთი მესამედი სწორედ ამ უბნის კოლექტივზე მოდის. ეს უბანი აგერ ორი წელია ინარჩუნებს პირველობას. შეჯიბრების ავანგარდშია აგრეთვე მესამე უბანი, რომელსაც როლანდ ადეიშვილი უძღვება. საიუბილეო შრომითს ვახტზე მაღალაყოფიერად შრომობენ მებეტონეები: ლენინის ორდენოსანი სერგი თედეევი, ბიჭიკო ფოფხაძე, გიორგი ფრუიძე, მბურღავები ვალერი ბურჯალიანი, ვლადიმერ ლობატინი და სხვ.

სწორედ ასეთი ადამიანები სჩადიან საგმირო საქმეებს ენგურზე. მაგრამ მათ თავიანთი გმირობა სულაც არ უყვართ. ამის ნათელი მაგალითია ერთი შემთხვევა, რომელიც აქ ახლახან მოხდა...

მესამე და მეოთხე სანგრევების შეერთებამდე სამი მეტრიღა რჩებოდა. საჭირო იყო ერთი აფეთქებაც, რომ გვირაბები ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ. მაგრამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. დაიწყო კოკისპირული წვიმა და ნიაღვარმა მესამე სანგრევი წყლით აავსო. გვირაბში დაახლოებით 40 ათასი კუბური მეტრი წყალი დაგროვდა. აფეთქებას კი სწორედ მესამე სანგრევიდან აწარმოებდნენ. მშენებლები ჩაფიქრდნენ. როგორ მოიქცნენ? მართალია, აფეთქება მეოთხე სანგრევიდანაც შეძლებდა მოახდინო, მაგრამ ამფეთქებლებმა ნიაღვარს რომ ვერ გამოასწრონ? არა და აფეთქება აუცილებელია!

საკითხი მალე გადაწყვიტეს: ამფეთქებლები გვირაბში მანქანით შეივლენ, აფეთქებენ დარჩენილი გრუნტის მხოლოდ ზედა მცირე ნაწილს და მანქანით სასწრაფოდ უკან დაბრუნდებიან. ეს კარგი აზრი იყო, მაგრამ რამდენ ხანს გაუძლებს სანგრევში დაგუბებულ ზღვას მცირე სისქის გრუნტი? სახიფათო საქმეა. ვინ შევა გვირაბში? მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ბოლოს „ოპერაციის“ შესრულება გამოცდილ, გამბედავ ამფეთქებლებს ეოსუნ მექოშვილს, არტურ ყვირილიანს და საუკეთესო მძღოლს ზოთა ქურციკიძეს მიანდეს. ბიჭებმა დავალება პირნათლად შეასრულეს. გრუნტი აეფეთქეს და რამდენიმე წუთითაც გამოასწრეს სანგრევიდან მოვარდნილ ამობოქრებულ სტიქიას.

— ეს იყო გვირაბების იდეალური შეერთების მაგალითი, მარქშეიდერთა სიზუსტისა და გვირაბგამყვანთა მამაცობის შეხამება; წყალი მალე დაიწრიტა, ყველანი ერთმანეთს ვულოცავდით სტიქიაზე გამარჯვების, — ამბობს გ. წულეისკირი. — მაგრამ წყალდიდობამ გვირაბში მუშაობა დროებით შეაფერხა. მხოლოდ ერთი სანგრევი მიიწევდა წინ. მოიშალა წყალმომარაგების სისტემა. შლამმა დაფარა წყალსაჭიანი დანადგარმოწყობილობა. საჭირო გახდა დროებითი წყალსადენის აგება, მთელი დღე წელამდე წყალში მდგარი შრომობდნენ სამმართველოს მთავარი მექანიკოსის, მოადგილე უშანგი მაღრაძე, მექანიკოსი ბიჭიკო ლორთქიფანიძე, ინჟინერი ზურაბ ბურჭულაძე, ბეტონის ქარხნის უფროსი ბიძინა კაციტაძე, ქარხნის მექანიკოსი ომარ ხურცილავა. მათი თავდადება სამაგალითო იყო. სულ რამდენიმე საათში ობიექტებმა უკვე მიიღეს ტექნიკური წყალი...

ეს ერთი დღის მხოლოდ ერთი მაგალითია ენგურჰესელთა საქმიანობიდან. სამმართველოს უფროსს გ. წულეისკირს ბევრი ასეთი შემთხვევა ჰქონია თავისი ხანგრძლივი მუშაობის პრაქტიკაში. გმირობაც ბევრი უნახავს და თვითონაც ჩაუდენია, ამით ვერ გააკვირვებ, მაგრამ მოხიბლულია ენგურჰესზე მომუშავე ახალგაზრდების, კომკავშირელების თავდადებით.

— როგორ აღწევს ასეთ მაღალ წარმატებებს თქვენი კოლექტივი? როცა ამ კითხვით მივმართეთ, გ. წულეისკირმა ასე გვიპასუხა: ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდა მშენებლები გვყავს. მათ არა მარტო კარგად ესმით თავიანთი საქმე, არამედ თავდადებული მუშაკებიც არიან. ამიტომ შეუძლებელია ასეთი ადამიანებისაგან შემდგარმა კოლექტივმა არ გაიმარჯვოს.

ედ. კვირტია.

გაზეთ „ენგურის ჩირაღდნის“ მუშაკი.

ხურათზე: გიორგი წულეისკირი.

მტკიცდება მეგობრობა და თანამშრომლობა

15 სექტემბერს მოსკოვში დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის შესახებ.

მიღწეულია შეთანხმება ცალკეული სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტისათვის, საწარმოო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებისათვის, ვალუტის ღონისძიებებისა და საშუალებების გაერთიანების შესახებ.

შეთანხმებულია მანქანებისა და მოწყობილობის, მათ შორის კომპლექტური მოწყობილობის, ელექტროენერგიის, საბშოების, უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულისა და მასალების, სასაღრო მოხმარების საარეწველო და სასურსათო საქონლის ურთიერთმიწოდება.

ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის 1971—1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის შედეგების შესახებ, აგრეთვე შეთანხმების მუყაოს, აზბესტისა და ფოსფორის შემცველი ნედლეულის წარმოების განვითარებაში თანამშრომლობის შესახებ. (საკდესი).

ნაკლის მხილების გზით

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

უჩაკინოს ქიმიური კომბინატის გამოცდილება — მცირე დანახარჯით მეტი პროდუქციის გამოშვება — ახლა ხულ უფრო ფართოდ ინერგება რუსთავის კაპროლაქტამის ქარხანაში. სკკპ XXIV ყრილობისა და სიბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის რომ ემზადებიან, ქიმიკოსებმა გამოაცხადეს ლაშქრობა არსებული რეზერვების ეფექტურად გამოყენებისათვის, წარმოებაში მოწინავე, პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ყოველივე ამას კი ქარხნის კომუნისტები უდგანან სათავეში. ისინი უნარიანად წარმართავენ საწარმოს, ავლენენენ ნაკლოვანებებს, მტკიცედ იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

კაპროლაქტამის ქარხანა შედარებით ახალი საწარმოა საქართველოს ქიმიურ მრეწველობაში. პროდუქციას (კაპროლაქტამი), რომელსაც იგი უშვებს, იყენებენ ხელოვნური აბრეშუმის ძაფის მისაღებად, ფეიათი და იაფფასიანი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დასამზადებლად, ავტომანქანების საბურავების, თევზსაჭერი ბადეების, ძეძერფანი სამკაულების და სხვ. გამოსაშვებად.

საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე, რომელიც გუშინწინ გაიმართა ქარხნის ერთ-ერთ წამყვან — ნედლი ლაქტამის — საამქროში, კომუნისტებმა ანალიზი გაუკეთეს როგორც პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას, ისე საამქროს სამეურნეო საქმიანობას.

მომხსენებელმა, პარტბიუროს მდივანმა ა. ჯიშკარიანმა და კამათში გამოსულმა კომუნისტებმა თქვეს, რომ ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, ზოგჯერ ადგილი აქვს სახელმწიფო დავალებათა შეუსრულებლობას. კრების მონაწილეებმა კრიტიკულად და თვითკრიტიკულად შეაფასეს მდგომარეობა, თქვეს, რომ საწარმოო გეგმები არ შესრულდა იანვარში, მარტსა და ივლისში. ამის შედეგად გადაიხარჯა დიდძალი ანოლი, ოლეუმი, ამონიუმის ნიტრიტი, ამიაკი და სხვა ნედლეულის.

თუმცა არსებული ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეული იყო ქიმიური კომბინატის მიერ საამქროსთვის ორთქლის, ტრიქლოლეთილენისა და ამონიუმის ნიტრიტის მიუწოდებლობით, მაგრამ მოკამათენი: განყოფილების გამგე ო. ქერეკაშვილი, სახალხო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე ი. მაკარაშვილი არ მოერიდნენ დასახელებინათ გვარები იმ კომუნისტებისა, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის და რომელთა საქმიანობაზეც დიდად არის დამოკიდებული საამქროს ბედი. სწორედ ამიტომ გააკრიტიკეს ბ. გელაშვილი, გ. აბაშვილი, ე. ქურდაძე, დ. ლაბაძე, დ. გონგაძე... აქვე ისიც აღინიშნა, რომ საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ, მისმა ბიუროს ვერ განახორციელეს ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კრებამ ყურადღება გაამახვილა მუშახელის დიდ დენადობაზე, რასაც ადგილი აქვს საამქროში. მაგალითად, 8 თვეში საამქროში მიიღეს 19, სამუშაო კი მოაკლეს 20 კაცმა. კამათის მონაწილეებმა — უფროსმა მეპარატემ ნ. გოგოლაშვილმა, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ს. ბაბულაძემ და სხვებმა ეს იმით ახსნეს, რომ უბნის უფროსები გ. ბუბრიკაძე, ნ. ბაჩილავა, ნ. მურჯიკელი, ნ. ლვინიაშვილი, ცვლის უფროსები დ. კვირნაძე, ნ. აზოევი, რ. შოშიაშვილი სუსტად ეწევიან მუშებთან აღმზრდელობითს საქმიანობას, სათანადოდ არ ზრუნავენ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სწორედ ეს არის კადრების ხშირი დენადობის ძირითადი მიზეზი.

პარტიული ბიუროს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები კომუნისტმა მ. კიკალიშვილმა, აგრეთვე კამათელმა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ა. აბიაძემ. მათ აღნიშნეს, რომ საამქროს პარტბიუროო პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პარტიის რიგების ზრდას. საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღებულია 11 მოწინავე მუშა, ჩატარებულია 7 ღია პარტიული კრება, რომლებზეც განხილეს როგორც პარტიულ-ორგანიზაციული, ისე საკუთარი სამეურნეო საკითხები. საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტბიუროო იმიტომაც გააკრიტიკეს, რომ ზოგჯერ იგი სათანადო კონტროლს ვერ აწესებდა მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე. ამიტომ იყო, რომ, როგორც ამბობენ, კარგი ღონისძიებები მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. კომუნისტებმა მოითხოვეს, რომ ახლადარჩეულმა პარტბიუროომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მიღებულ დადგენილებათა პრაქტიკულ განხორციელებას, მკაცრად დასჯოს ისინი, ვინც უპასუხისმგებლოდ ეკიდება საზოგადოებრივ დავალებებს, არ ასრულებს პარტიული კრებისა და პარტბიუროს დადგენილებებს.

საანგარიშო მოხსენებაში თვითკრიტიკულად იყო ნათქვამი, რომ პარტბიუროო ჯერ-ჯერობით ყურადღებას არ იჩენდა საადგილო-მასობრივი მუშაობისადმი, დიდი დაგვიანებით გამოდიოდა კედლის გაზეთი, ყველა კომუნისტი აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა პარტიული კრების მუშაობაში, ამ კრებებზე საკითხების მომზადებაში.

კრებაზე ფართო ადგილი დაეთმო საწარმოს სტრუქტურის გამარტივებისა და გაუმჯობესების საკითხებს. საანგარიშო მოხსენებაში თავისი ასახვა ჰპოვა იმ კონკრეტულმა ღონისძიებებმა, რაც უახლოეს ხანში უნდა განხორციელდეს. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხება მეპარატემებს და ცვლის ლაბორანტების შემცირებასა და გადაჯგუფებას, პროფესიათა შეთავსებას. ამ ღონისძიებების შედეგად საამქროში ყოველწლიურად გაწეული იქნება 15 ათას მანეთზე მეტი ეკონომია.

საამქროს კოლექტივისა და პარტბიუროს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის კრებამ მიიღო დადგენილება და აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქალაქი—სოფელს

მილიონებით ადამიანი

...

ზალხმასის წარმოებას საქართველოში არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენი პროდუქცია სულ უფრო მეტ მომხმარებელს იძენს. ამჟამად მას იყენებენ ელექტროტექნიკური ხელსაწყოთმშენებლობის, მანქანათმშენებლობის და მრეწველობის სხვა დარგებში. პლასტმასის პროდუქციაზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება სოფლის მეურნეობაშიც.

საქართველოში პლასტმასების წარმოებას თბილისის პლასტმასის ქარხანაში ჩაეყარა საფუძველი. ჩვენი პირველი პროდუქცია 1947 წელს გამოვიდა. 23 წლის განმავლობაში ქარხანაში მრავალი დასახელების პლასტმასის დეტალები შეიქმნა, სწორედ ამ პროდუქციის ბაზაზე დაარსდა ელექტროტექნიკური მრეწველობის ქარხნები, რომლებიც ამჟამად ჩვენი ქარხნის ძირითად შემკვეთებად ითვლებიან.

დღეისათვის ქარხანა თავის პროდუქციას ნახევარფაბრიკატების სახით 33 ქარხანას აწვდის და 600 დასახელების სხვადასხვა დეტალებს ამზადებს.

ქარხანა უშვებს აგრეთვე მზა პროდუქციას სასიცოცხლო არმატურის სახით, რომელიც ჩვენი ქვეყნის 60 ქალაქსა და საზღვარგარეთის 17 ქვეყანაში იგზავნება.

პლასტმასის ქარხნის კოლექტივი არც სოფლის წინაშე რჩება ვალში, რეგულარულად უწევს დახმარებას, კერძოდ, პროდუქციას აწვდის იმ საწარმოებს, რომლებიც უშუალოდ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ამზადებენ სხვადასხვა იარაღ-მანქანებს, დანადგარებს.

ჩვენმა ქარხანამ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ პლასტმასის სხვადასხვა დასაკომპლექტებელი დეტალების ათვისებასა და მიწოდებაში.

ქარხანა საქართველოს მეფრინველეობისათვის გარკვეული წლების მანძილზე ამზადებდა ავტომატურ სარწყულებლებს, რომელთა გამოყენებამ დიდად შეუწყო ხელი ფრინველში შრომის ნაყოფიერების ზრდას.

პლასტმასის ქარხანას თავისი არსებობის მანძილზე სოფლის მეურნეობისათვის მილიონობით დეტალი დაუმზადებია. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების დადგენილებათა შუქზე ჩვენი ქარხნის კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულებანი, რომ მეტი პროდუქციული დახმარება გაუწიოს საქართველოს მეცხოველეობის ფერმას ნაფიანოვის ინსტიტუტის ინჟინრებისა და ბაკურიანის ბალნეოლოგიური სადგურის ერთობლივ ძალისხმევით ბალნეოლოგიური ანალიზებისა და ანალიზების ბაზაზე ბალნეოლოგიური ფენოლის ნარევის მიღებაზე, ადასტურებს

მსოფლიო დღე

ერთიანი ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ფორუმი

გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 25-ე სესია

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკადესი). **ეროვნული კონფლიქტების** ... **ზოგიერთი მათგანი** ...

ჩილეს კომპარტიის ცკ-ის პლენუმი

სანტიაგო, 16 სექტემბერი. (საკადესი). **აქ გაიხსნა ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.** ...

ამერიკის შეერთებული შტატები

არ ზოგავენ ვაზნებს

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი (საკადესი). **ორასი შეიარაღებული პოლიციელი** ...

მსარს უჭერენ ექსტრემისტებს

ვაშინგტონი, 15 სექტემბერი. (საკადესი). **ამერიკის პრესა იუწყება, რომ ვაშინგტონში „დადებითად ეხმაურებიან“ ისრაელის მოთხოვნას ამერიკის სამხედრო დახმარების გაძლიერების შესახებ.** ...

ნიქსონის მოგზაურობა ევროპაში

ვაშინგტონი, 16 სექტემბერი (საკადესი). **თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში** ...

პრეზიდენტის წერილი

ვაშინგტონი, 16 სექტემბერი. (საკადესი). **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა** ...

ქომუნისტი

№ 3-ი გვერდი, ხუთშაბათი, 17 სექტემბერი, 1970 წ.

ჩეხოსლოვაკია

დაიხურა ბრნოს ბაზრობა

პრაღა, 15 სექტემბერი. (საკადესი). **დაიხურა ბრნოს მე-12 საერთაშორისო მანქანათმშენებლობის ბაზრობა.** ...

ამზადებენ პროვოკაციებს

ბონი, 16 სექტემბერი (საკადესი). **მორიგ პროვოკაციას ამზადებს ბონში დასავლეთ გერმანიის რევანშისტული ორგანიზაცია „დასავლეთ გერმანიის მიწის მესაკუთრეთა გაერთიანება“.** ...

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

თავშეუკავებელი ძარცვა

● **კარაკასი, 16 სექტემბერი.** (საკადესი). **2.140 მილიონი დოლარი — ასეთია მოგების საერთო თანხა, რომელიც ამერიკის კონცერნებმა მიიღეს ლათინური ამერიკის ამ ქვეყნებიდან.** ...

პატრიოტები უტევენ

● **პანოი, 16 სექტემბერი.** (საკადესი). **ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა აგვისტოს მეორე ნახევარში ჩაფუშეს შეერთებული შტატების ოპერაცია სურების ხეობის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონების წინააღმდეგ.** ...

პოლიტიკურ პატიმართა შიმშილობა

● **პამანა, (საკადესი).** **დომინგოს რესპუბლიკაში ასზე მეტმა პოლიტიკურმა პატიმარმა გამოაცხადა შიმშილობა.** ...

წყალდიდობა გუჯერათში

● **დელი.** (საკადესი). **კოკისპირული მუსონური წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარე ნარმადამ წალეკა გუჯერათის შტატის მნიშვნელოვანი ტერიტორია.** ...

ეკონომიკა

საქართველოს ტრიოს ნარკვეტები

პარანა, 16 სექტემბერი. (საკადესი). **კუბაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს ანსტრუმენტული ტრიოს გასტროლები, რომელიც აქ ჩამოვიდა კულტურის ეროვნული სამინისტროს მოწვევით.** ...

იაპონია

პროგრესული ძალების გამარჯვება

ტოკიო, 16 სექტემბერი (საკადესი). **პროგრესული ძალების გამარჯვებით დამთავრდა ოკინავის ბევრ ქალაქსა და სასოფლო რაიონში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები.** ...

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. სახალხო არმიის მეზენიტელები ყოველ წუთს მზად არიან მოიგერიონ ამერიკის ავიაციის თავდასხმა.

სურათზე: მეზენიტელები ნგუენ ხონგ დიეუ (მარცხნივ) და ჩან ფან ტუე საცეცხლე პოზიციაზე.

ხაკადესის ფოტოქრონიკა.

ზრომა და ქაპიტალი

საგაფიცვო ბრძოლა ძლიერდება

ვაშინგტონი, ოლქის ფედერალური მოსამართლის გადაწყვეტილების მიუხედავად რკინიგზელთა გაფიცვის დროებითი შეწყვეტის შესახებ, რომლებმაც გაიღალმერეს კორპორაციების „საზრინ პასიფიკის“, „ჩეზაპიკ ენდ ოჰიო რეილუეის“ და „ბალტიმორ ენდ ოჰიო რეილროუდის“ წინააღმდეგ, ბევრმა მუშამ უგულებელყო სასამართლოს გადაწყვეტილება და არ გავიდა სამუშაოზე.

როგორც ამერიკის საინფორმაციო საგაზეთოები იუწყებიან, გაფიცვამ გამოიწვია ის, რომ შეწყდა მუშაობა რკინიგზის ხაზების მნიშვნელოვან ნაწილზე, რომელიც სამ კომპანიას ეკუთვნის. შეწყდა მიმოსვლა ვაშინგტონ-ბალტიმორის ხაზზე. მუშებმა პლაკატებით „გაფიცული ვართ“ პიკეტები დაუყენეს „საზრინ პასიფიკის“ კომპანიის „ტატა-ბინას სან-ფრანცისკოში და ამ კომპანიის დეპოებს ლოს-ანჯელესში, სანტა-ბარბარაში, საკრამენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში.

ამერიკელ ავტომობილმშენებლებთან ერთად კანადაში გაფიცა „ჯენერალ მოტორს ოფ კანადა ლიმიტედის“ კომპანიის ქალაქების ოშავის, ტორონტოს, ლონდონის, ვინძორისა და ზოგიერთ სხვა ქალაქის საავტომობილო ქარხნების 27 ათასი მუშა.

გაფიცულნი მოითხოვენ ახალი შრომითი შეთანხმების დადებას, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის მომატებას სიძვირის ზრდასთან დაკავშირებით, აგრეთვე შრომის პირობების გაუმჯობესებასა და პენსიის მომატებას.

ვადრიდი 75 ათასი მშენებელი მუშა მონაწილეობს გაფიცვაში, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება. ჰოლიციამ დააპატიმრა 15 გაფიცული. ისინი იბრძვიან მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და მოითხოვენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადებას.

მეიქმსი კვირაა არ მუშაობს ხუთი ათასი მუშა ინგლისის „ბენ-სენკის“ კომპანიის ველინგტონის ქარხანაში, რომლებიც მოითხოვენ შრომის სამართლიან ანაზღაურებას. იმის გამო, რომ ამ ფირმამ შეწყვიტა მანქანათა დეტალების მიწოდება სხვა საავტომობილო ქარხნებისათვის, დაიხურა მთელი რიგი საწარმოები. ხელფასის გადიდების მოთხოვნა წამოაყენა აგრეთვე პროვინციული ავტობუსების ხაზების 160 ათასმა მუშაკმა. უიგანში, სტოკში, ლიდსში მათ მოაწყვეს 24 საათის გაფიცვა.

ჩილეში კონსულტაციონის პროვინციის „ლოტა შვაგერის“ ქვანახშირის აუზში დამთავრდა ორი კვირის გაფიცვა. შრომის სამინისტრომ კანონიერად ცნო გაფიცული 10,5 ათასი მაღაროელის მოთხოვნა და გაუდიდა ხელფასი.

გაიფიცნენ ჩილეს სან-ფერნანდოს დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის მუშები. ისინი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. იმასთან დაკავშირებით, რომ ლატიფუნდისტებმა უარი თქვეს დაეკმაყოფილებინათ მათი მოთხოვნები, მოჯამაგირეებმა დაიკავეს 170 მამული. (საკადესი).

ზღვა და მუვიდობა

საერთაშორისო თემაზე

ალბათ, თეატრებსაც შეუძლიათ შეიგრძნონ ამერიკული ცხოვრების წესს.

ჟერლუშ ბიდსტრუპის კარიკატურა დანიურ გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკიდან“.

რუმინელ მეგობრებთან

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი რუმინეთში

უკვე რამდენიმე წელია თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი წარმატებით გამოდის არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ქალაქებში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ქართველ სტუდენტთა ხელოვნებამ მოწონება დაიმსახურა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის მაყურებელთა შორის. ამ ზაფხულს კი ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი იმყოფებოდა რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში, სადაც მონაწილეობა მიიღო რუმინეთის ეროვნულ დღესასწაულში, ფაშიზმისაგან რუმინეთის განთავისუფლების 26 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

— რუმინეთში ჩვენს ანსამბლს გულთბილი შეხვედრა მოუწყო რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ, — გვეუბნება ანსამბლის ხამსატვრო ხელმძღვანელი, ინსტიტუტის პროორეტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბიორბი შიოშვილი. — ბუქარესტში, საზოგადოების შენობაში გაგვიმართეს შეხვედრა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

პირველი კონცერტი გავმართეთ 15 აგვისტოს ბუქარესტის კულტურის სასახლეში. სტუდენტთა ხელოვნებას მაყურებელი აღტაცებით შეხვდა. თაიგულებსა და ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. კონცერტი რუმინელ ენაზე მიძღვნილი ანსამბლის წევრებს ლ. ჯოლიასა და თ. შიოშვილს, რომლებიც კარგად და მოხდენილად აცნობდნენ მაყურებელს ქართული სიმღერების შინაარსს.

ქართველი სტუდენტების გამოჩენას ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ. წარმატებამ ფრთები შეგვასხა.

ბუქარესტის გარდა კონცერტები გავმართეთ შავი ზღვისპირა კურორტ ეფორიაში, სადაც უამრავი დამსვენებელი იყო ჩამოსული ევროპის მრავალი ქვეყნიდან.

კონცერტებზე განსაკუთრებული წარმატება ხვდა ანსამბლის სოლისტებს მ. ძიძიგურს, ზ. ჩხეიძესა და ვ. ლომსაძეს, აგრეთვე ლ. აფაქიძეს, თ. ჯიჯიშვილს, ჟ. ბერიტაშვილს, ვ. და მ. ახვლედიანებს, ჯ. თექაძეს, დ. ანთიძეს, ზ. ლოლაძეს და სხვ. ქეიფის ღირსია ორკესტრი, რომლის ხელმძღვანელია თ. დოლიძე. რუმინელები აღაფრთოვანა თ. ნონიაშვილისა და ო. ლომსაძის ცეცხლოვანმა ცეკვებმა.

ჩვენმა სტუდენტებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს ბუქარესტის ღირსშესანიშნაობანი. აღვაფრთოვანა ბუქარესტის არქიტექტურამ, განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა, „მუზეუმმა ღია ცის ქვეშ“. აქ რუმინეთის თითქმის ყველა უნიკალური ძეგლი იყო ჩამოტანილი და გამოფენილი თავიანთ ბუნებრივ გარემოში.

ქართული სუვენირები — ნაბადი, კერამიკა, ქართული მოწა, მიკიტანური ნახელავი ჩვენი სახელოვანი წინაპრის ანთიმოზ იბერიელის — ივერიანეს მუზეუმში. ეს არის XVIII საუკუნის ბრწყინვალე ტაძარი, რომლის სარკველები და კარი ანთიმოზის ხელით არის მოჩუქურთმებული. აქვე ვნახეთ ანთიმოზ იბერიელის ფრესკები.

რუმინელები დიდად აფასებენ ჩვენს თანამემამულეს, დიდ განმანათლებელს, რუმინული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ ფუძემდებელს ანთიმოზ ივერიანეს. აღგილობრივმა საეკლესიო მსახურმა პასიუმ დაგვათვალიერებინა მთელი ტაძარი და გვიჩვენა ანთიმოზის მიერ მოჩუქურთმებული ხის კარი.

ბუქარესტში ყველანაირად შევამკეთ ქალაქის განთავისუფლებისათვის დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავები. მათ უკვდავსაყოფად აქ აღმართულია დიდი ძეგლი.

რუმინეთში ბევრი მეგობარი შევიძინეთ. განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ი. ნანუ, რომელიც ითვლება ქართული კულტურის პროპაგანდისტად რუმინეთში. მან პირველივე კონცერტის წინ რუმინელ მაყურებელს გააცნო საქართველოს რესპუბლიკა, მისი ხელოვნება, კულტურა, ესაუბრა ჩვენს ანსამბლზე. პროფესორი ნანუ ჩვენი მოგზაურობის პერიოდში თითქმის ყველგან თან გვახლდა.

საგასტროლო მოგზაურობის დამთავრების დღეს, რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ „არლუსმა“ მოგვიწყო გამოსათხოვარი სადამო, მათ მაღალი შეფასება მისცეს ქართული საესტრადო ანსამბლის კონცერტებს რუმინეთში და ნიშნად მადლიერებისა დაგვაჯილდოვეს სპეციალური დიპლომით, რომელიც გადმოგვცა „არლუსის“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პროფესორმა ო. ლეფეზიანუმ, აგრეთვე მათ მადლობის წერილი გამოუგზავნეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას თბილისში. ანსამბლის სახელით მასპინძლებს მადლობა გადაუხადა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა, დოცენტმა გ. ჭანუყვაძემ.

დაუვიწყარი იქნება რუმინეთში გატარებული დღეები. ამ ქვეყანაში მოგზაურობამ და კონცერტებმა კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა ჩვენი ანსამბლის ისტორიაში.

კ. გძელიშვილი

ქართველ ხელოვანთა რიგებს გამოაკლდა ქართული საბჭოთა სამხატვრო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის პროფესორი — **კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე გძელიშვილი.**

კ. გძელიშვილი დაბადა ქ. თბილისში 1902 წელს. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1922 წელს შედის ახლადგახსნილ თბილისის სამხატვრო აკადემიაში პროფესორ გ. გაბაშვილის კლასში, რომლის სახელოსნოში სამ წელს მუშაობდა, შემდეგ კი გადადის აკადემიკოს ე. ლანსერეს კლასში. აკადემიის სრულ კურსს ამთავრებს 1927 წელს.

1924 წლიდან კ. გძელიშვილი სისტემატურად მონაწილეობს ქართველ მხატვართა გამოფენებში, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

კ. გძელიშვილის შემოქმედება ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო. მას ეკუთვნის საყოფაცხოვრებო, ისტორიულ-რევოლუციური თემებზე შექმნილი ბევრი საინტერესო სურათი და ნატურმორტები. განსაკუთრებულია მისი ღვაწლი საბჭოთა პერიოდის საპიონერო სურათის შემუშავებასა და შექმნაში.

მხატვრის სურათების მთავარ თემას თავიდანვე წარმოადგენდა ახალი ცხოვრების პირობებში ჩამოყალიბებული სამეურნეო გარემანტიკული გატაცება ახალი კოლხეთის პეიზაჟით. მისი „ახალი კოლხეთი“, „რამის პლანტაციები“, „ციტრუსების კრეფა“, „ნოსირი“, „რიონჰესის სათავე“, „კოლხიდმშენის მთავარი არხი“, „წყალტუბოს მიდამოები“ და სხვ. საბჭოთა სინამდვილის მხატვრული ასახვის, ხელოვნის როგორც ერთ-ერთ ფორმის ძებნა, ბევრ ნაწარმოებში ეტაპი ეტაპზე ავლენს ავტორს ამ ეტაპზე ადგილ-ადგილ ბოლოს ეტაპზე ... ...